ა(ა)ი.პ. ,,ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი“- ს 2023 წლის გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში

მოგახსენებთ, რომ ა(ა)ი.პ.,,ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი“ ემსახურება მუნიციპალიტეტის მასშტაბით უკიდურესად შეჭირვებულ მოსახლეობას, შშმ პირებს, მრავალშვილიან ოჯახებს, მარტოხელა ადამიანებს და უზრუნველყოფს ბენეფიციართა უფასო კვებას, საკვები პროდუქტებით დახმარებას.

,,სათნოების სახლ“-ში მუშაობს 11თანამშრომელი,რომლებიც საქმიანობენ ფუნქციების შესაბამისად.

,,სათნოების სახლი“-ს ბიუჯეტი 2023 წლისთვის განისაზღვრება 215000 ლარით.

ორგანიზაციის ბაზაზე კვება არის ერთჯერადი, კვირაში ექვსი დღე (შაბათ დღისა და დღესასწაულების ჩათვლით):

სტანდარტული მენიუ ადგილზე ბენეფიციარებისათვის

ორშაბათი:პური,გერკულესის ფაფა ან მაკარონის ქაში,ბორში;

სამშაბათი: პური,ბრინჯის ქაში,ლობიო;

ოთხშაბათი: პური,მაკარონის ქაში,ბრინჯის წვნიანი მოხარშული ქათმის ხორცით;

ხუთშაბათი: პური,ბრინჯის ფლავი ან წიწიბურა,გუფთა ან კატლეტი;

პარასკევი: პური,მაკარონი ყველით ან მანის ფაფა,მაკარონის წვნიანი;

შაბათი: პური,ბრინჯის შილა,(თევზი) ლობიო.

დღესასწაულის დღეებში:ხილი ტკბილეული და სხვა.

სტანდარტული მენიუ სოფლებში მიტანით

საკვების გაცემის დღეებია: სამშაბათი, ხუთშაბათი

პური;

ბრინჯის ქაში,ბრინჯის ფლავი(ტკბილი,ხორცით)მაკარონი ყველით,წიწიბურა,კარტოფილის პიურე;

ლობიო ,გუფთა,კატლეტი ან ქათმის ხორცი (მოხარშული)ტომატის გარნირით.

დღესასწაულის დღეებში:ხილი ტკბილეული და სხვა.

ამჟამად, ვემსახურებით 160 ბენეფიციარს,აქედან დაბაში 112 ბენეფიციარია,ხოლო ოთხ ადმინისტრაციულ ერთეულში: საღანძილეში,ბაზალეთში,ლაშეში და ფარცხნალში გამზადებული საკვების მიტანის სერვისი კვირაში ორი დღე მიდის 48 ბენეფიციართან გამზდებული საკვები ბენეფიციარებს მიეწოდებათ საკვები კონტეინერებით.რაციონი ისე გვაქვს შედგეენილი,რომ ბენეფიციარებს მიეწოდოთ აუცილებელი საკვები პროდუქტები(ბურღულეული,ბოსტნეული,მცენარეული ცხიმები,რძის პროდუქტები,პური და პურის პროდუქტები,ხორცი როგორც ქათმის, ასევე საქონლის, თევზი და ა.შ.)

,,სათნოების სახლ"-ში მუშაობს სოციალური პროგრამით დასაქმებული 11თანამშრომელი,რომლებიც მონაწილეობას იღებენ ბენეფიციარებთან საკვების მიწოდებაში.

ვთანამშრომლობთ სურსათის უვნებლობასთან და ვითვალისწინებთ მათ მითითებებს. ასევე, ვითვალისწინებთ აუდიტის რეკომენდაციებს.

ა(ა)ი.პ. ,,სათნოების სახლი"-ს უფასო კვების პროგრამით 2023 წლის განმავლობაში გახარჯულია 67 275-00 ლარი, გეგმიური საკვები პროდუქტებით. მათ შორის შემოსული წერილების და თხოვნების საფუძველზე, ერთჯერად დახმარებაზე დახარჯულია 3353-00 ლარი.

ვცდილობთ ბენეფიციარებს სადღესასწაულო დღეები ჰქონდეთ განსხვავებული. აღდგომის დღესასწაულზე ბენეფიციარებზე გაიცა სააღდგომო საჩუქარი

(პასკა, შეღებილი კვერცხი, ლიმონათი). 1 ივნისს ბენეფიციარ ბავშვებისთვის ჩავატარეთ ბავშვთა დაცვის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება და გავუმასპინძლდით სხვადასხვა ნუგბარით.

ვმუშაობთ HACP-ის პროგრამით.

2023 წელს შევიძინეთ მცირე საოფისე ინვენტარი.

,,სათნოების სახლი“ორიენტირებულია ბენეფიციართა მომსახურების გაუმჯობესებაზე და აქტიურად ვთანამშრომლობთ მერიასთან და საკრებულოსთან. ვთანამშრომლობთ არასამთავრობო ორგანიზაციებთან,მათ შორის-მიმდინარეობს სათნოების სახლის ჩართულობა შინმოვლის პროგრამასა და სოციალურ სამრეცხაოს განხორციელებასთან დაკავშირებით.

ვაწარმოებთ მომლოდინეთა სიებს და მათი დაკმაყოფილება მოხდება ეტაპობრივად, ასევე მიმდინარეობს მუშაობა გაიზარდოს მომსახურების არეალი მუნიციპალიტეტის სხვა სოფლებში.

ა.(ა.)ი.პ. სათნოების სახლის დირექტორი: /ო. შავიძე./